სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU



თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ა
ბათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2a I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

+995 32 2 258 484 | info@expertiza.gov.ge | expertiza.gov.ge

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

№ 5006395125
31/10/2025

5006395125

ა(ა)იპ "პროფესიული კოლეჯი იკაროსი"-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ქალბატონ რუსუდან ჩართოლანს

ქალბატონო რუსუდან,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N0000952231 მომართვის (ბიუროს 2025 წლის 5 აგვისტოს რეგისტრაციის N1005959125) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N006984125 დასკვნას.

დანართი:
ექსპერტის დასკვნა 10 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი მურვანიძე
ბიუროს უფროსი

თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ª
ბათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2ª I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

+995 32 2 258 484 | info@expertiza.gov.ge | expertiza.gov.ge

5006395125

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____
(ხელმოწერა)

თარიღი 31.10.2025

006984125

ექსპერტის დასკვნა № 006984125

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი იკაროსი

თანამდებობა: დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

მისამართი:

სახელი და გვარი: რუსუდან ჩართოლანი

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები:

გიორგი მალანია / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს მოწვეული სპეციალისტი, სპეციალობით მუშაობის 5 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

მოგახსენებთ, რომ ა(ა)იპ კოლეჯი "იკაროსი" წარმოადგენს "საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო"-ს მიერ დაფუძნებულ და მის დაქვემდებარებაში მყოფ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: ქ. თბილისი, მარშალ გელოვნის N4.

გამომდინარე იქედან, რომ კოლეჯის შენობას, კერძოდ კი საკადასტრო გეგმაზე (წარმოდგენილი დანართის სახით) N08/1-ით აღნიშნულ ნაწილს, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ერთგვარ დამაკავშირებელ ხიდს ორ შენობას შორის აღენიშნება გარკვეული ბზარები და ბათქაშის ეროზია, მოგმართავთ თხოვნით დაგვეხმაროთ შესაბამისი საექსპერტო ღონისძიების გატარებაში შენობის მდგრადობის დადგენის მიზნით.

აქვე მოგახსენებთ, რომ აღნიშნულ მისამართზე კოლეჯის გარდა ასევე განთავსებულნი არიან აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებული მოსახელობა, აფხაზეთის N2 საჯარო სკოლა და საბავშვო ბაღი და მათი გადაადგილება, ისევე როგორც კოლეჯის სტუდენტების გადაადგილება აღნიშნულ ტერიტორიაზე შეიძლება შეიცავდეს გარკვეულ რისკებს.

შემოსვლის თარიღი: 05/08/2025 წ

გასვლის თარიღი: 31/10/2025 წ

დასკვნა

ქ. თბილისში, მარშალ გელოვნის გამზირ N4-ში (ს/კ 01.10.11.001.354) მდებარე საკადასტრო გეგმის მიხედვით 08/1 გადასასვლელი ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და შეუსაბამოა სეისმურ ნორმებთან. დაზიანებები ძირითადად ტექნიკური მოუვლელობითაა გამოწვეული; მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნაგებობა უფუნქციოა, მის მზიდ და არამზიდ ელემენტებში განვითარებული მნიშვნელოვანი დაზიანებებიდან გამომდინარე, ის საფრთხის შემცველია ეზოში ქვეითად მოსიარულეთათვის, შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროა მისი დროული დემონტაჟი.

ასევე აღსანიშნია, რომ გადასასვლელის მიმდებარედ, ძირითადი შენობის ფასადის კედლებზეც ფიქსირდება ბათქაშის ფენის ჩამოშლის საფრთხე (იხ. ფოტო 25), ამიტომ საჭიროა ფასადებიდან ბათქაშის მარტივად ჩამოშლადი უბნების დროული მოხსნა/გასუფთავება.

გიორგი მალანია

გამოკვლევა

შემოსული წერილის საფუძველზე (ბიუროს რეგისტრაციის #1005959125-05/08/2025 წ.), 2025 წლის 8 ოქტომბერს განხორციელდა გასვლა ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირ N4-ში (საკადასტრო მონაცემების მიხედვით მარშალ გელოვანის გამზირ N18-ში; ს/კ 01.10.11.001.354) მდებარე საკადასტრო გეგმის მიხედვით 08/1 ნაგებობის ვიზუალური გამოკვლევისა და მისი ტექნიკური მდგომარეობის შეფასების მიზნით.

საკადასტრო გეგმის მიხედვით 08/1 ნაგებობა წარმოადგენს გადასასვლელს ტერიტორიაზე არსებულ ორ შენობას შორის და საერთო სარგებლობის ეზოს უკანა ნაწილში მდებარეობს (იხ. ფოტო 1-:-3); მისი მაქსიმალური გაბარიტული ზომები გეგმაზე დაახლოებით 40.0x4.0 მეტრია, აღნიშნული გადასასვლელი ორდონიანია, გადასვლა ხორციელდება ძირითადი შენობის მეორე და მესამე სართულების დონეზე, თუმცა დღესდღეისობით ძირითად შენობაში არსებული ღიობები ამოვსებულია, შესაბამისად ნაგებობა აღარ ფუნქციონირებს;

აღნიშნული გადასასვლელის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის სვეტებისა და კოჭების ერთობლივი სისტემა; ნაგებობის საძირკველი სავარაუდოდ კომბინირებული ტიპისაა, ძირითადი შენობის მხარეს გამოყენებულია წერტილოვანი ტიპის საძირკველი, ხოლო უკანა ნაწილში ლენტური ტიპის საძირკველი; გადახურვები მოწყობილია ანაკრები რკინაბეტონის ღრუტანიანი ფილებით, ხოლო პერიმეტრის კედლები ამოყვანილია ანაკრები რკინაბეტონის შეკიდული პანელებით; პანელებს შორის შემავსებლად გამოყენებულია სილიკატური აგურის წყობის კედლები; სახურავი ბრტყელია და შესრულებულია რულონური ბურულით;

ვიზუალური გამოკვლევით დადგინდა შემდეგი: იქედან გამომდინარე, რომ ნაგებობა წლების გამავლობაში მოუვლევლია, მისი კედლები და გადახურვის ფილები განიცდიან ატმოსფერული ნალექების უარყოფით ზეგავლენას, რის გამოც როგორც საკედლე პანელები, ისე გადახურვის ღრუტანიანი ფილები გამოტუტულია; საკედლე პანელებში ბეტონი ნაწილობრივ ეროზირებულია, ფიქსირდება ბეტონის დამცავი შრის რღვევა და კოროზირებული არმატურის ღეროები (იხ. ფოტო 4-:-7), ასევე სილიკატური აგურის შუაკედლისებში, ბათქაშის ფენის ჩამოშლის გამო აგურის წყობა დაუცველია ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისაგან, რის გამოც აგურის წყობა ეროზირებული და ნაწილობრივ დემონტირებულია (იხ. ფოტო 8-:-10), ფიქსირდება შემდგომში მარტივად ჩამოშლადი უბნები, რაც საფრთხის შემცველია ეზოში ქვეითად მოსიარულეებისთვის; ასევე, ანაკრები რკინაბეტონის ფილების ქვედა ზონაში ბათქაშის ფენა აშრევებულია, ფილების პირაპირებს, ასევე ფილებსა და საკედლე პანელებს შორის ფიქსირდება გრძივი მიმართულების ბზარები (იხ. ფოტო 11-:-15); ხიდსა და შენობას შორის არსებული ნაკერი სილიკატური აგურითაა შევსებული, აღნიშნულ მონაკვეთზე შეინიშნება დიდი გახსნილობის ვერტიკალური ბზარები და შევსების უეცარი ჩამოშლის საფრთხე (იხ. ფოტო 16-:-19); სახურავის ბურული დაფარულია ხე-მცენარებით, რაც კიდევ უფრო ამძიმებს გადახურვის ფილების მდგომარეობას (იხ. ფოტო 20; 21), ამავე საფასადე პანელების შეკიდვის კვანძები მასიურად დაზიანებული და კოროზირებულია (იხ. ფოტო 22-:-24);

სამშენებლო ნორმების და წესების მიხედვით - „სეისმომედეგი მშენებლობა“ მუხლი 15, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ე“-ს თანახმად: „მზიდ და არამზიდ ელემენტებში იკრძალება სილიკატური აგურის გამოყენება“, რაც ადგილზე დარღვეულია.

ზემოთაღნიშნული გარემოებების გამო, რაც გულისხმობს გამოკვლეული გადასასვლელის მზიდი და არამზიდი ელემენტების მნიშვნელოვან დაზიანებებს, ასევე მისი კონსტრუქციის სეისმურ ნორმებთან შეუსაბამობას, მისი აღდგენა-გამაგრება გაუმართლებელია ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების დიდი მოცულობისა და არარენტაბელურობის გამო; შესაბამისად ის საჭიროებს დემონტაჟს.

ამრიგად, ქ. თბილისში, მარშალ გელოვნის გამზირ N4-ში (ს/კ 01.10.11.001.354) მდებარე საკადასტრო გეგმის მიხედვით 08/1 გადასასვლელი ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და შეუსაბამოა სეისმურ ნორმებთან. დაზიანებები ძირითადად ტექნიკური მოუვლელობითაა გამოწვეული; მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნაგებობა უფუნქციოა, მის მზიდ და არამზიდ ელემენტებში განვითარებული მნიშვნელოვანი დაზიანებებიდან გამომდინარე, ის საფრთხის შემცველია ეზოში ქვეითად მოსიარულეთათვის, შესაბამისად საჭიროა მისი დროული დემონტაჟი.

ასევე აღსანიშნია, რომ გადასასველის მიმდებარედ, ძირითადი შენობის ფასადის კედლებზეც ფიქსირდება ბათქაშის ფენის ჩამოშლის საფრთხე (იხ. ფოტო 25), ამიტომ საჭიროა ფასადებიდან ბათქაშის მარტივად ჩამოშლადი უბნების დროული მოხსნა/გასუფთავება.

გიორგი მალანია

გამოყენებული მასალები

- „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინტრუქცია“. თბილისი 1992 წ.
- ჯნ 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა“.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

006984125

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8



ფოტო 9



ფოტო 10



ფოტო 11



ფოტო 12



ფოტო 13



ფოტო 14



ფოტო 15



ფოტო 16



ფოტო 17



ფოტო 18



ფოტო 19



ფოტო 20



ფოტო 21



ფოტო 22



ფოტო 23



ფოტო 24



ფოტო 25

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

